თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #64

ქ. თბილისი 2025 წელი, 23 მაისი, 13:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ზურაბ აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარის მ/შ), გიორგი ტყემალაძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, ლევან არველაძე, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე, თამარ ხვედელიანი, საბა ბუაძე, ლილე ლიპარტელიანი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:

მამუკა გუგეშაშვილი, შოთა გრიგოლია, ნინო წულაძე (03-032514256 -22/05/2025)

სხდომის თავმჯდომარე:
ზურაბ აბაშიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ვალერი ჭიღლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

№	საკითხის დასახელება
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს №12-032514169-03- 21.05.2025)

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს №12-032514169-03- 21.05.2025)**

გიორგი ტყემალაძის კანდიდატურა წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვალერი ჭიღლაძემ.

მისი თქმით და განმარტებით გიორგი ტყემალაძე გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და პროფესიონალიზმით, შესაბამისად ის სავსებით შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

კომისიის წევრებმა საკრებულოს თავმჯდომარეს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადეს და განაცხადეს, რომ დედაქალაქის ვიცე-მერად დანიშვნის შემდეგ გიორგი ტყემალაძე დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას კიდევ უფრო აქტიურად შეძლებს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება - ,,დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა", ამავე კანონის 76-ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ მომზადებულია და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა იმსჯელოს უახლოეს სხდომაზე.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს თამარ ხვედელიანმა და გიორგი ტყემალაძემ.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე